

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიდან შანი 8 კაპ.



სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ფოთელაუბის დაბიუტი

ფოთში, IX საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გაბარებულ წყალ-ქოთხილამურეთა შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა გუნდმა პირველად შეასრულა დასახული ამოცანა — დაეგვილი 27 ქულის ნაცვლად 42 მოაგროვა და მე-8 ადგილი დაიკავა.

გაუზიფინე, თბილისში დაბრუნებისთანავე, სპორტსმენებმა სპორტსა-ზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოს მიაშურეს (ისინი ამ საზოგადოების საწყლოსნო სახეობების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის აღზრდილები არიან). სკოლის ხელმძღვანელებმა წარმატება მიულოცეს სპორტსმენებს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მათ. სწორედ ამ შეხვედრით და სახელდახელოდ ვესაუბრეთ საქართველოს წყალმობილამურეთა ნაკრების მწვრთნელს ვიჩეხილავ კობიალკოს. სახელდახელოდ იმითომ, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ვე-

წალკაური

როგორც იცით, ჩვენმა წყალმობილამურელებმა წინასწარი შეხვედრები ჩინებულად ჩაატარეს და 8 რუნდოვან გუნდს შორის მოხვედრენ — გადამწყვეტ ეტაპზე ე. წ. „ოქროს ქულით“ გავიდნენ. ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს მისკოვისა და ყაზახეთის გუნდებმა. მათთან ერთად ოქროს მედლებს მათთვის ბრძოლის უფლება მოითხოვეს უკრაინის, აზერბაიჯანის, ლენინგრადის, მოლდავეთისა და რსფსრ-ის წყალმობილამურეებმა. მათ შორის შეჯიბრების უპირველეს ფაგორიტად მოსკოვის გუნდი ითვლება, საქართველოს ნაკრები კი ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვის. გადამწყვეტი ბრძოლების პირველ ეტაპზე სწორედ ეს გუნდები შეხვედნენ ერთმანეთს. საშუალოდ, ჩვენმა წყალმობილამურეებმა ძალზე უფერულად დაიწყეს თამაში. ანგარიში მისამინდლებმა გა-

პროგრამით პრაფის ჩაბრუნება

ლენინგრადი. ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ-საოქსპორტო კომპლექსში მიმდინარეობს მაგიდის ჩოგბურთულა ტურნირი. ასპარეზობა ტრადიციისამებრ გუნდური შეჯიბრების მონაწილეებმა გახსნეს, ბრძოლა პირველობისთვის, როგორც მოსკოვის, რუსეთის ფედერაციისა და ლიტვის გუნდებს შორის წარიმართა. და საბრძოლო ადგილებზე, როგორც ქალთა ისე ვაჟთა შორის, სწორედ მათ გაიანაწილეს. ვაჟთა გუნდური ასპარეზობის შედეგები ასე გამოიყურება: 1. რუსეთის ფედერაცია, 2. უკრაინა, 3. მოსკოვი. ქალებთან დაწინაურებულა შორის მოსკოვის, უკრაინისა და ლიტვის კოლექტივები არიან. საქართველოს მაგიდის ჩოგბურთულა ტურნირით არაფერი აქვთ სასუგეშო. წინა სპარტაკიადებზე მათ 12 ქულით მხოლოდ XIV ადგილი დაიკავეს. წლამდე ჩვენი ქალთა გუნდი XIV ადგილზეა (6 ქულა), ვაჟები კი XV (4 ქულა). შეჯიბრება ვერ არ დამთავრებულა. დაიწყო პირადი შეჯიბრებები. შეგახსენებთ, რომ ჩვენს მაგიდის ჩოგბურთულა დაჯგუფებით აქვთ XIII ადგილი (15 ქულა). შეასრულებენ თუ არა ისინი პირობას, გაირკვევა 20 სექტემბერს — შეჯიბრების ბოლო დღეს.

ქალაქური, საქართველო — აზერბაიჯანი — 12:8, უკრაინა — ლენინგრადი — 12:7, ყაზახეთი — მოსკოვი — 7:9. წალკაში ხტობა. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში წინასწარი შეჯიბრების შემდეგ ფინალში 33-წლამდე საუკეთესო შედეგით შევიდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ლიდერი ვია ჩოგვაძე. მის თანაგუნდელს ვიორგა შელუგოვს შეეძინა შედეგი 3 ქონდა.

რჯერობით მხოლოდ ფოთელი გოგობიუბებითა დაკომპლექტებული და წარმატებით გაბარებულეს, ცხადია, მშობლიურ ქალაქში მიეჩქარებოდით. — საქართველოს ნაკრებ გუნდში ექვსი სპორტსმენი იყო — სამი გოგონა და სამი ვაჟი: ხათუნა კორკელია, დეგი ანუელა და ვიკა ბესელიანი, დიმიტრი კობიალკო, გენადი პეტრუხინი და ვიორგი სურგულაძე. სპარტაკიადებზე ძირითადად 1963-64 წლებში დაბადებულმა სპორტსმენებმა იასპარეზეს, მათ შორის იყვნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, მოფლიო და ევროპის ჩემპიონები, ქვეყნის რეკორდსმენები. ჩვენი გუნდის წევრები კი ყველაზე უმცროსები იყვნენ (ყველაზე უფროსი მათ შორის 1970 წელს დაბადებული ვიორგო სურგულაძეა, კიევში მოასპარეზე ვაჟებს შორის კი ყველაზე უმცროსი დიმიტრი კობიალკო იყო), თანაც, ისინი სულ ახლახან გახდნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატები და, ცხადია, ასეთ ტიტულთან მეტოქეებთან შებრძოლება გაუძნელდათ, ამჯერად ჩვენი მისანი იყო ლიტველები ჩვენზე წინ არ გაგვეშვა არ დაგვიწყდეთ, რომ ლიტვაში უკვე 20 წელია, რაც ამ სახეობას მისდევენ, ჩვენ კი ფაქტობრივად სულ ახლახან დაიწყეთ ვარჯიში და მიუხედავად ამისა, საერთო სსსპარტაკიადო ჩათვლაში ჩვენს უშუალო მეტოქეებს საგრძნობლად გავუსწარი.

ფინალის პირველ ეტაპზე

ხსენს, მართალია, სტუმრებმა მაშინვე აღადგინეს წინასწარობა, მაგრამ ეს იყო და ეს, ამის შემდეგ მოსკოველები დაწინაურდნენ. საქართველოს ნაკრებმა ვერა და ვერ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. III პერიოდში მოსკოველები უკვე 5 ბურთის სხვაობით (10:5) იგებდნენ შეხვედრას. საბოლოოდ ანგარიშით 9:11 დაეპარცნენ. მატჩის ბედი ფაქტობრივად პირველ პერიოდში გადაწყდა, რომელიც მოსკოველებმა ანგარიშით 2:2 მოიგეს. მომდევნო პერიოდებმა თითქმის თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა (1:2, 3:2, 1:3). მოსკოველები ამ შეხვედრაში მოულოდნელი კონტრატორი შემთხვევით გამოჩნდნენ, კარის ადვის მცირეოდენ შესაძლებლობას კი იყენებდნენ. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში მათ ხუთჯერ ჰქონდათ რიცხობრი-

ვი უპირატესობა და ხუთჯერვე მიადრინეს მიზანს, საქართველოს ნაკრებმა კი, რომელსაც შეიძვერ აღმოაჩნდა ზედმეტი მოთამაშე, მხოლოდ ხუთჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. კაცმა რომ თქვას, არც ესაა ცუდი მაჩვენებელი. ამ მატჩში კვლავ თბილისელმა რამიშვილმა გამოიჩინა თავი. მან 5-ჯერ აიღო მეტოქის კარი. ბურთები გაიტანეს ბითაქემ, გობეჯი-შვილმა, მაქაევიანიმ და ვიორგაძემ. ჩვენი ნაკრების ღირსებას მათთან ერთად იცავდნენ კერესელოძე, ღვალაძე, ლაპარტელიანი, წულაძე, ჩოლარია, კილაურიძე, კომამიძე და ფანცულაძე. მოსკოველებიდან ბურთები გაიტანეს აფანასენკომ, განიევმა (3-3), გორსკომ (2), უჩიკინმა, ლაპინმა და ოგოროდინიცოვმა.



პირი პასპაროვისა და ანატოლი პარკოვი მანჩ-რეპრეზენტი მსოფლიო ჩემპიონის სახელმწიფოს

მეთექვსმეტე პარტი

ამ პარტიის დასაწყისი მეტოქეებმა სწრაფად გაითამაშეს. და ეს არც არის გასაკვირი — პირველ ჩველმეტ სვლას ისინი მატჩის მეტოქეებზე პარტიის „დაესხნენ“, დაფხვე ამჯერადაც ძველებური ესპანური პარტია წარმოიშვა, მაგრამ საფორტებელი იყო, რომ ექსპერიმენტი გააძლიერებდა თამაშს — ის პარტია რომ მან წააგო. ასეც მოხდა, თუმცა, არც ჩემპიონი ჩამორჩა. მანაც ახლებური გაგრძელება აირჩია. მდგომარეობა დაიძაბა და, ერთი შეხედვით, კარპოვს უფრო პერსპექტიული პოზიცია ჰქონდა, ლაზიერის ფრთაზე მხედარი კი „დააბა“, მაგრამ კასპაროვი სულ არ ფიქრობდა ამ ფრთის დაცვას, მან უშუალოდ მოწინააღმდეგის მეფეზე მიიტანა იერიში ექსპერიმენტი სულ უფრო და უფრო უღრმავდებოდა პოზიციას და, მალე ციტინოტიც წამოეპარა. და აქ, 33-ე სვლაზე, ექსპერიტების აზრით, მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ჩემპიონმა და საშუალო ქსელში მოაქცია მეტოქის მეფე. ხოლო როცა კასპაროვმა ლაზიერი მოიგო, თამაშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და მართლაც, 41-ე სვლაზე კარპოვი დანებდა მეტოქეს.

პირველადი ფინალური მატჩი

გადაიდო მწვავე პოზიციები

არტურ იუსუპოვისა და ანდრეი სოკოლოვის მატჩის მე-9 პარტიაში, რომელშიც თეთრებით იუსუპოვი თამაშობდა, მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს. პარტია მშვიდად წარიმართა, მხოლოდ ბოლოს, საკონტროლო დროის მო-

საკონტინენტურის თასი — „პალმისს“

ლაზიერისა და ვიორგაძის პრეტენდენტებმა თამაში. პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო. გუშინ ეს შეხვედრა ყაიშით დამთავრდა. ანგარიშია 4:2 იუსუპოვის სასარგებლოდ.



ბულგარეთის დედაქალაქი ჩიბურდანიძე — ახმლოვ სკაიას მატჩით სუნთქვს. მართლაც, აქ ხომ პირველად ეწყობა ამ დროის შეხვედრა — მატჩი, რომელმაც მოფლიოს ახალი ჩემპიონი უნდა გამოავლინოს. და თუმცა მიახს და ელენას მძაფრი ბრძოლა აქვთ გაჩაღებული, ერთს — ტიტულის დასაცავად, მეორეს — გვირგვინის მოსაპოვებლად, ცხოვრებაში ისინი მეგობრები არიან, ერთმანეთისადმი კეთილად განწყობილი კოლეგები... გუშინწინ საღამოს სოფიიდან საქართველოში დაბრუნდნენ ჩვენი რომლებმაც გადმოგვცეს „ლილოს“ სხეციალური კორესპონდენტის თენგიზ ვიორგაძის წერილი და ბულგარული ფოტოკორესპონდენტის დიმიტრი ალტენკოვის ფოტოები. იხ. მკ-3 მკ.



ფარილი სოფრიდან

ვიღრა პარტია გრეკლდება

რბ უნდა იყოს იმ პაექრობაზე საინტერესო, რომელიც ქაღრა-კის სადღეოფლო ტაბრის ბედი წყდება.

საქმარისია დააკვირდე ჩემბონისა და პრეტენდენტის თამაშს, ღრმად ჩასწვდე მათ ჩანაფიქრს, რომ იგრძნობ დიდი ქაღრაკის სუნ-ქვეას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ მოვლენის ისტორიულ-მეტაფორას. ამიტომ ბუნებრივია, გვიინტერესებს ყველაფერი ის, რაც ამ ორთაბრძოლის ირგვლივ ხდება.

გულშემატკივრები

ჩემბონისა და პრეტენდენტს სოფიაშიც საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყოლიათ, მაგრამ თანამემამულე ქომაგთა (საქართველოს ტურისტული დელეგაციის) ჩამოსვლას, რომელთა შორის არიან მათი ჩიბურდანიძისა და ელენა ახილოვსკაიას ნათესავები და ასობლებები, მათ მხარდაჭერას და კეთილ სიტყვას მაინც სულ სხვა ძალა ჰქონდა.

ჩვენმა ტურისტებმა სხვა მხრივაც კარგი საქმი გააკეთეს. საქართველოს ტელევიზიის რეჟისორმა ჯუმბერ ებრაღიძემ და ობერატორმა ილია ვაჩნაძემ ბევრი რამ გადაიღეს ჩიბურდანიძე-ახილოვსკაიას მატჩისადმი მიძღვნილი ფილმისთვის, ჯ. ებრაღიძემ სოფიაში ჩამოიტანა თავისი ახალი ფილმი „კაი-სას რჩეული“, რომელიც ქართულ დიდოსტატ ქაღრას ეკუთვნის.

თბილისის ქაღრაკის სახალისი დირექტორი ლილი წეროძე და სერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი შეხვედნენ სპორტსაზოგადოება „ლევსკი სპარტაკის“ აქტივისტებს და საქართველოს საჭადრაკო მოძრაობაზე ისაუბრნენ მათ.

ხუგაშვილმა ერთობლივი თამაშის სეანსი გამართა (+10-4=7).

სოფიაში ჩვენი ტურისტები დავსწრნენ ბულგარეთის 9 სექტემბრის რევოლუციის 42-ე წლისთავის ზეიმს, იყვნენ პლურდევში, ბაჩკოვოში, სადაც დაათვალიერეს XI საუკუნის ქართული მონასტერი.

ტურისტთა პირველი ჯგუფი მატჩის პირველ ნახევარს დაესწრო. სამშობლოში გამოგზავრების წინ მათი თანამემამულეებს გამოუმშვიდობა სასტუმრო „როდინაში“, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, და მადლობა გადაუხადა მათ ქომაგობისთვის. (ელენა, რომელიც იმ დღეს ავად იყო, ტელეფონით ისაუბრა დელეგაციის წევრებს).

სასიამოვნო გასროვა

სოფიის აეროპორტიდან დაძრულეებს ანდრეი მალჩევი დაგვემგზავრა, ცნობილი ბულგარელი საჭადრაკო მოღვაწე, საერთაშორისო არბიტრი, მატჩის დირექტორი. 72 წლის მალჩევი, როგორც ყველა უფროსი, ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა. იგი თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე რედაქტორობდა ბულგარეთის საჭადრაკო ჟურნალს „შახმატნი მისლ“.

— საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ ქართველები გულგულად ხალხია. მახსოვს ერთი ასეთი კეთილი კაცი — დასძინა მან.

— ვინ იყო ის ქართველი, რომელიც აქამდე არ დაგვიწყებიათ?

— სახელი არ მახსოვს. მაშინ მწლის ვიყავი, როცა სოფიაში გამოჩნდა მოხეტიალე ქართველი მუსიკოსი, რომელიც ბავშვებს სიმღერებს ასწავლიდა. დედანემამ ამ კაცის „სკოლაში“ მიმბარა. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს დავდიოდი სიმღერის სასწავლებლად, მაგრამ ეს მელოდია და რამდენიმე ქართული სიტყვა-დღემდე არ დამვიწყებია, — თქვა ანდრეი მალჩევი და „ჩარბრაბა“ წამოიყუ.

ჩვენი დელეგაციის წევრმა საქართველოს ქაღრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ლია ლომიძემ გაიხსენა, რომ ეს მოხეტიალე მუსიკოსი იყო მიხეილ ქორელი, რომელმაც ქართული მუსიკის პროპაგანდის მიზნით სწორედ მალჩევის ბავშვობის დროს შემოიტანა ბულგარეთი და ევროპის სხვა ქვეყნები.

ფოტო სოფლის სამსახურები

დარბაზის ფოტოში, სადაც მუდამ ხალხი ტრიალებს, მოწყობილია ბულგარეთის ქაღრაკის მესვეურთა მიერ გაკეთებული მატჩისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.



მატჩის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიის დამთავრების შემდეგ მონაწილეებმა და ფიდე-ს.პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპოზინესმა ერთად ისურვეს სურათის გადაღება.

მაიისა და ელენას პორტრეტებთან ერთად ექსპონირებულია ქალთა საჭადრაკო მოძრაობის ამსახველი ფოტოები, მსოფლიო ჩემპიონების სურათები, სხვადასხვა თაობის ბულგარელი მოჭადრაკეების, მსოფლიოს გამოჩენილ დიდოსტატთა შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა.

ყურადღებამ იპყრობს მატჩისადმი მიძღვნილი მხატვრული აფიშების გამოფენა, სადაც საქართველოდან ჩამოტანილი აფიშაცაა გაჩურული.

— ეს ფოტოგამოფენა ამდღერებს ქაღრაკის მოყვარულთა ცოდნას, აცნობს მათ საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრებას, — ამბობს

ეურნალ „შახმატნი მისლის“ რედაქტორი, ოსტატი პეტრო პეტროვი — ამ გამოფენის გამართვის ერთ-ერთი თაოსანი.


ურნალისტთა ამაჯარი

პრესცენტრი სახალისი კომპლექსის მთავარ შენობაშია მოთავსებული, მართალია, უფროსობის აქეთ-მით გვიხდება სიბილი, რადგან დარბაზი და პრეს-ცენტრი საკმაო მანძილთაა ერთმანეთისგან დაშორებული, მაგრამ მუშაობისთვის ყველა პირობა გვექვს შექმნილი. უფროსობის განკარგულებაშია ტელეფონი, საბეჭდო მანქანა, მონიტორი, რომელიც დარბაზიდან დაუყოვნებლად გადმოგვცემს ცნობას პარტიაში შექმნილი პოზიციის შესახებ.


პრეს-ცენტრში მუდამ ხალხმრავლობაა. სწორედ აქ იგრძნობა მატჩის მაქსიმუმ. აქ იკრებიებიან ცნობილი მოჭადრაკეები, დიდოსტატები ნიკოლა პადევსკი, ევგენი ერმენკოვი, ანტონინა ივანოვა, საერთაშორისო ოსტატები დიმიტრი პროდანიოვი, მსოფლიო ოსტატი, „64-შახმატნოე ობზრენიეს“ სპეციალური კორესპონდენტი ანატოლი მაცუკევიჩი და სხვები. ისინი არჩევენ პარტიას, ერთმანეთს უზიარებენ აზრს შექმნილი პოზიციის შესახებ.

გამუდმებით გაიხსნის ტელეფონის ზარი. რეკავენ მსოფლიოდან და თბილისიდან — ტელევიზია, რადიო, გაზეთების რედაქციები... პასუხს არ აგვიანებს პრესცენტრის ხელმძღვანელი პეტრო პეტროვი — დინჯი და აუღელვებელი აღმზიანი.

თენგიზ ზიორბაძე, „ლელოს“ სტე. კორ.



დამთავრდა შორივი პარტია.



მსაჯები რუდოლფ მარიჩი (მარჯვნივ) და მსაჯი გიორგი ტოდოროვი. დიმიტრი ალტენკოვის (ბულგარეთი) ფოტოები.

შეპრიგებულური ღუმილი

ფიქსულტურულ-სპორტულ მოძრაობას ხსოლოდ კვალში მიჰყვება საგარის რაიონული გაზეთი „კომუნის სივი“

რაიონული გაზეთის როლი უველახათვის კარგად არის ცნობილი. ჩვენც ცაგერის „კომუნის სივი“ იმ იმედით გადავთავალიერეთ, რომ მის ფურცლებზე არც ფიქსულტურა და სპორტი იქნებოდა დატოვებული ჭრფიანი ურადღების გარეშე. სამწუხაროდ, იმედი არ გამართლდა. ის, რაც ამ გაზეთის 1985 და 1986 წლების ნომრებში ევახეთ, მხოლოდ სინანულს იწვევს. სინანულს იმის გამო, რომ გაზეთმა მხარი ვერ აუბა სადღეისო მოთხოვნებს, ვერ გამოიკვეთა პოზიციის მხოლოდ კვალში მისდევს ფიქსულტურულ-სპორტული მოძრაობის მოვლენებს.

ფაშოდან უამრავი გამოკვეენებული ინფორმაციები, ცხადია, არ იძლევა სრულ წარმოდგენას რაიონში ფიქსულტურულ-სპორტული საქმიანობის ავ-კარგზე. რაიონული გაზეთის ასეთი დუმილი კიდევ უფრო ჩქმალავს და აწილებს ისედაც უსიცოცხლო მუშაობას. გაზეთის უმინო პოზიცია უკავია, იგი ვერ იქცა რაიონის ახალგაზრდებსა და მშრომლებს შორის ფიქსულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტ-მასობრივი მუშაობის პროპაგანდისტად. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მას შეეძლო ორგანიზატორის როლიც ეკისრა — ეგრუნა თუნდაც გაზეთის პირივე ერთ-ერთი მასობრივი ღონისძიებების ჩახატარებლად, როგორც ამას სხვა რაიონული გაზეთები აკეთებენ.

რედაქციის მუშაკები კრიტიკული თვლით არ აუხსენებ ამ სფეროში რაიონის ჩამორჩენას, სამსჯავროზე არ გამოაქვთ ინერტულობა და ნაკლოვანებები, რაც ასე თვალნათლივ ჩანს და რაც საბოლოო ანგარიშით იმაშიც გამოვლინდა, რომ ცაგერის რაიონს საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ არც ერთ შეჯიბრებაში არ მიუღია მონაწილეობა. ამ ამბავზე „ლელოს“ ორჭერი გამაზავილა უურადღება, მაგრამ თვით „კომუნის სივის“ რედაქციამ, ისევე როგორც რაიონის სპორტკომიტეტმა და სხვა ორგანიზაციებმა, დუმილით აუარეს გვერდი ხაგანგაშო ფაქტს.

გაზეთში ვერ შეხვედებით პრობლემურ წერილებს, არაფერი იწერება ბავშვთა სპორტზე, რეკრეაციის აღზრდაზე, რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მუშაობაზე, სპორტული ბავშვების ეფექტიანად გამოყენებაზე, საკლუბო დაწესებულებების როლზე, კულტურულ-სპორტული კომპლექსის მნიშვნელობაზე, ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფების შექმნაზე. არადა, ეს ის საკითხებია, რომლებიც წინა პლანზეა წამოყვანილი სადირექტივო ორგანოების დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში.

ცაგერის რაიონული გაზეთის ფურცლებზე უოგარე ნაშედეგი უკრინებსაც წაწყდებით. მაგალითად,

კომუნის სივი

წლეულს, 10 მაისს, მიიწყო მასობრივი კროსების, გარბენებისა და ესტაფეტების საკავშირო დღე. ეს დღე ცაგერშიც საზეიმოდ უნდა აღენიშნათ, მაგრამ რაიონში ვალო იმით მოხადეს, რომ საკავშირო ღონისძიებას მიუძღვნეს... კალათბურთელთა შეჯიბრება, რომელიც ისედაც ტარდებოდა რაიონის სპარტაკიადის პროგრამით. გაზეთს მკაცრად უნდა ემსჯელა ამ ფაქტის გამო, მაგრამ მოხდა პირიქით — მან ვრცლად და ამოღებულად მოუთხრო მკითხველს მარბენლის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ კალათბურთელთა შეჯიბრებაზე. ამგვარი პოზიციით გაზეთმა გაიცივინა ნაცვლად წაახლისა მოვალეობისაგან იოლად თავის დატყენის მსურველი რაიონის ფიქსულტურისა და სპორტის თავსაყები. ეს და სხვა ფაქტები იმავე შეტყულებებს, რომ რედაქცია თავად არის მოქცეული ფიქსულტურისა და სპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა გავლენის ქვეშ.

ამუშაოდ ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში მიმდინარე გარდაქმნების გამოახილი ცაგერის რაიონის ფიქსულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ჭრფირობით საერთოდ არ იგრძნობა და რადღუნ საწმუხაროა, რომ ამ ფაქტის მიმართ რაიონული გაზეთი „კომუნის სივი“ შეირიგებულურ დამოკიდებულებას იჩენს.

რა გაატოდა „ლელოს“ კრიტიკული გამოცვლის შემდეგ?

საქმას გულიანად მოაქიდნან

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 4 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში (სათაურით „მომავალზე ფიქრით“) ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დასახლებას ში მდებარე სპორტული ბაზების საჯალლო მდგომარეობა გავაცანით. იქვე იმედი გამოვთქვით, რომ საწარმოს ახალი ხელმძღვანელობა დაიბრებს შეასრულდება და მდგომარეობას გამოასწორებდა.

უკვე კარგა ხანია აქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სტადიონის საარკონსტრუქციო სამუშაოები (შემსრულებელი საქსპორტრემშენის ქუთაისის № 2 სამმართველო, უფროსი გ. კორაბია, მთავარი ინჟინერი გ. ხაჭაპურიძე). ამ საქმიანობის გამოყოფილი 700 ათასი მანეთიდან უკვე ნახევარზე მეტია ათვისებული, ბევრად მეტი ვიდრე ამ წლისთვის იყო დაგეგმილი. შემოტანილია დიდძალი ხრეში, შესრულებულია სადრენაჟო სამუშაოები, შენდება 3 ათასამდე მაყურებლისთვის განკუთვნილი ტრიბუნები. გრძელდება მიწის შემოზიდვა.

● საბოლოოდ როგორ ხახეს მიიღებს სტადიონი? — ვკითხებით სამუშაოთა მწარმოებელს ა. ხაჭაპურიძეს.


— სტადიონი სტანდარტული ზომის იქნება, — ამბობს იგი. — მოეწყობა მძლეოსნური სექტორები. რაც მთავარია, მშენებლებმა გაითვალისწინეს აქური მეტეოროლოგიური პირობები და სტადიონს

ისე აშენებენ, რომ წყალი კოცის-პირული წვიმების დროსაც კი არ დადგას. აქვე აშენდება 25-მეტრიანი საცურაო აუზი დასურულ ტრიბუნებით. ერთ ძველ შენობას გამოვიყენებთ — მეორე სართულს დავაშენებთ და სპორტსმენებისათვის 50-ადგილიანი სასტუმროს მოვაწყობთ. პირველ სართულზე იქნება გასახდელი და საშხამებები, მსაჯების ოთახი და ა. შ. მიინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქმისადმი დიდ გულსმხიერებას და დაინტერესებას იჩენენ ქარხნის დირექტორი ა. ჩინჩალაძე და მისი მოადგილე ა. მკუტაძე. ისინი ყოველდღე მოდიან მშენებლობაზე და სიტყვით და საქმით გვეხმარებიან. ერთი სიტყვით, მხარში გვიდგანან.

აქვე მიინდა მდღეიერების გრძნობით მოვისხენიო საქსპორტრემშენის ტრეტის მმართველი გ. კორაკობაძე და ჩვენი სამმართველოს მთავარი ინჟინერი გ. ხაჭაპურიძე, რომლებიც საჭირო რაოდენობის სამშენებლო მასალითა და გამართული ტექნიკით გვამარაგებენ.

● როდის უნდა დამთავრდეს სამუშაოები? — წელს სათამაშო მოედანზე ბალახი დაითესა, სტადიონის რეკონსტრუქცია კი მომავალი წლის ზაფხულისათვის დამთავრდება.

ლევან ქავთარაძე, „ლელოს“ კორ.



ევროპის დიდი ფეხბურთის დღე

დღეს ევროპის სტადიონებზე დიდი ფეხბურთის დღეა: კონტინენტის უძლიერესი საკლუბო გუნდები იწყებენ ბრძოლას საში უაღრესად საპროფესიო რეჟიმში — ევროპის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასისთვის.

ჩვენი ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღებას, ცხადია, იმ მატჩებისკენ არის მიპყრობილი, რომლებშიც საბჭოთა გუნდები მონაწილეობენ. მართალია, პირველ წრეში მათი მეტოქეები არ მიეუფლებიან ევროპის საკლუბო ფეხბურთის გრანდებს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რა მოპყვება ჭეჭრის შედეგად მოხდება შედეგად. ასე რომ, საბჭოთა კავშირის ხუთივე წარმომადგენელს დღეს სერიოზული გამოცდა ელის. შევასხვებთ, რომ კვივის დინამოელები ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შეხვდებიან სტარა ზაგორის „ბეროეს“ (ბულგარეთი), მოსკოვის „ტორპედოს“ თასების მფლობელთა თასის ტურნირში მატჩი ექნება ვალკაისკის „პაქსთან“ (ფინეთი), ხოლო უეფა-ს თასისთვის გამართულ ასპარეზოზე საბჭოთა გუნდების მეტოქეები იქნებიან: მოსკოვის „სპარტაკისა“ — შვეიცარიის „ლუცერნის“, დნებროპეტროვსკის „დნეპრისა“ — ვარშავის „ლეგია“ (პოლონეთი), მინსკის „დინამოს“

— დორის „რაბა ეტო“ (უნგრეთი). ამ შეჯიბრებათა სტარტზე, როგორც წესი, ძლიერი გუნდები შედარებით სუსტებს ხვდებიან. ასეთი მატჩების შედეგი თითქმის შეუცდომლად შეიძლება იწინასწარმეტყველო, მაგრამ პირველ წრეში არის ისეთი წყვილებიც, რომელთა გამარჯვებულის დასახელებას ბარე ორი პროგნოზისტიც ვერ ითავებს. შევასხვებთ მხოლოდ ზოგიერთ ასეთ წყვილს: პოლანდის „ვიცლკოვიცა“ — ვფრ-ის „ბაიერნი“ (ჩემპიონთა თასი), იტალიის „რომა“ — სარაგოსის (ესპანეთი) „რეალი“ (თასების თასი), მადრიდის „ატლეტიკო“ (ესპანეთი) — ბრემენის „ვერდერი“ (გფრ). საფრანგეთის „ნანტი“ — იტალიის „ტორინო“, ლანის „რესინგი“ (საფრანგეთი) — შოტლანდიის „დანი დინატიკი“ (უეფა-ს თასი). ერთი სიტყვით, პროგნოზების მოყვარულნი წინასწარ უნდა შეეგუონ იმას, რომ მათს წინასწარმეტყველებებში შეცდომები მრავალად იქნება.



18 და 14 სექტემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის „ა“ და „ბ“ ფინალურ ჯგუფებში მოასპარევე გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი რესპუბლიკის სამივე გუნდმა შინ ითამაშა. ქუთაისის „მშენებელმა“ მოსკოვის „სლავას“ უმასპინძლა. „მშენებელს“ ამჯერადაც მეზობლებმა გაუმართეს ხელი — მატჩები თერჯოლაში ჩატარდა და ისე, როგორც ვანელებმა, თერჯოლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შეხვედრა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. „მშენებლისა“ და „სლავას“ შეხვედრები ყოველთვის უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობს და, ცხადია, გამონაკლისი არც ეს მატჩები უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ მოსკოველებმა ლიდერობა დაკარგეს და ახლა დაკარგული პოზიციის აღდგენაზე ზრუნავენ. პირველ მატჩში თავდასხმელთა თავისებური დღეული გაიმართა. მეტოქეები ჯერ რიგრიგობით იგებდნენ შეტევებს, შემდეგ თანდათან მასპინძლები გაყრდნენ, და

მორკინალთა აქტიურობის წყალობით დაწინაურდნენ კიდევ: სტუმართა ჩასატყუარი მოედნის სიახლოვეს დანიშნული შეტევებისას „მშენებლის“ მორკინალებმა მძლავრი ბიძგით უკან დაახევინეს მეტოქეებს და საბოლოოდ ნაჰყეზიამ ბურთი მოსკოველთა ჩასატყუარ მოედანზე დაამოწა. გიორგაძემ კარგად გამოიყენა რეალიზაცია — 6:0. პირველ ტაიმში „სლავამ“ მხოლოდ 3 ქულით შეამცირა ანგარიშში სხვაობა, როცა ბალონჩინმა 35 მეტრიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო. მეორე ტაიმში გიორგაძემ კვლავ ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, რასაც მოსკოველებმა ერთი შედეგიანი გარღვევით უპასუხეს. მატჩი ანგარიშით 9:7 დამთავრდა. მეორე მატჩი უფრო დაძაბული გამოდგა. მოსკოველები მხოლოდ რევერსზე ფიქრობდნენ. — წაგების შემთხვევაში ვერცხლის მედლებსაც კარგავდნენ. მიუხედავად ამისა, შეხვედრაც ქუთაისელთა შეტევებით დაიწყო. უკვე 22-ე წუთისთვის „მშენებელი“ დაწინაურდა

10:0 (ჯერ გიორგაძემ გამოიყენა საჯარიმო, შემდეგ ლილაშვილმა დაამოწა ბურთი „სლავას“ ჩათვლის. მოედანზე და აქ კვლავ გიორგაძემ მოუტანა გუნდს სამი ქული). მასპინძლებმა ტიბის მიწურულს ყურადღება მოაღწუნეს. „სლავამ“ კარგად ისარგებლა ამით და ანგარიშში სხვაობა 6 ქულით შეამცირა — 10:6. მეორე ტაიმში ერთბაშად მოუღვათ ბრძოლაში ჩაიარა. თამაში გარდასვლი უპირატესობით მიმდინარეობდა. ძალების უქილადობა დაძაბვის ხარვეზი საბოლოოდ ქუთაისელებმა მოიპოვეს ძნელი გამარჯვება — 17:13. „მშენებლის“ ღირსებას იცავდნენ: თბილისი, ჩიტანი, ტურქულაქი, გაბუნია, გრიგოლაძე, ლილაშვილი, ოდიშარია, ჯიმშელიანი, ნაჰყეზია, ნემსიფერიძე, გიორგაძე, დეისაძე, ხამაშურიძე, ლიპარტიანი, მარიამიძე, გიორგოზიანი, ხუტუა და შანიძე.

თამაზ ხარაბაძე.

სტადიონიკა, სტადიონიკა...

● საბჭოთა გუნდების დებიუტი ევროპის საკლუბო ტურნირებში მოდგა 1965 წლის 2 სექტემბერს, როცა კიევის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მატჩში ანგარიშით 6:1 მოსკოვო ჩრდილოეთ ირლანდიის „კორკის“ სადღესობა საბჭოთა გუნდებმა სულ 345 მატჩი ჩაატარეს (182 მოგება, 71 ფრე, 92 წაგება, ბურთების სხვაობა 541-333). ● ჩემპიონთა თასზე ჩვენმა გუნდებმა ჩაატარეს 88 შეხვედრა (ყველაზე მეტი კიევის „დინამომ“ — 42 თამაში), თასების მფლობელთა თასზე — 117 მატჩი (ყველაზე მეტი მოსკოვის „დინამომ“ — 29). უეფა-ს თასზე 138 მატჩი (ყველაზე მეტი მოსკოვის „სპარტაკმა“ — 42). ● პირველი გოლი ევროპის საკლუბო ტურნირებში გაიტანა კიეველმა ა. ბიბამ, საბჭოთა ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტი მატჩი ითამაშა ო. ბლოხინმა — 69. ● ყველაზე მეტი გოლი გატანა ი. ბლოხინმა — 21 (6 — ჩემპიონთა თასზე, 10 — თასების მფლობელთა თასზე, 2 — უეფა-ს თასზე, 3 — სუპერთასზე). 18 გოლი გაიტანა ი. გვირილოვმა, 16 — რ. შენგელიამ. ● ერთ ტურნირში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა ვ. ონიშჩენკომ. თასების მფლობელთა თასის 1974-1975 წლების გათამაშებაში მან 7-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. ● ყველაზე დიდი ანგარიში ბლინინმა 1975 წელს, როდესაც კიევის „სპარტაკმა“ თასების მფლობელთა თასის ერთ-ერთ მატჩში ანგარიშით 9:0 დაამარცხა პარიზის ჟალაჟ ფაბრუსტას „ანარტოსისა“. ამ მატჩში 5 გოლი გაიტანა ე. მარქაროვმა. ეს შედეგი ჯერჯერობით სარეკორდოა. ● საბჭოთა ფეხბურთელებმა ახვადსხვა დროს ითამაშეს ევროპის თასების მფლობელ 25 გუნდთან. ეს გუნდებია: „ინტერნაციონალი“ (მილანი), „მილანი“, „იუვენტუსი“ (ტურინი), „ფიორენტინა“ (ფლორენცია), „რეალი“ (მადრიდი), „ატლეტიკო“ (მადრიდი), „ვალენსია“, „ბარსელონა“, „ეინდჰოვენი“, „ფეიენორდი“ (როტერდამი), „სელტიკი“ (გლაზგო), „გლაზგო რივერსი“, „ლივერპული“, „არსენალი“ (ლონდონი), „ასტონ ვილა“ (ბირმინგემი), „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი), „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ლონდონი), „ბაიერნი“ (მიუნხენი), „ჰამბურგი“, „ბორუსია“ (მიუნხენფელდბახი), „აინტრაქტი“ (მაინის ფრანკფურტი), „ფრენცფარტი“ (ბულბაჟენი), „ანდერლექტი“ (ბრიუსელი), „ბენფიკა“ (ლისაბონი), „სპორტინგი“ (ლისაბონი).

● სულ სამივე გათამაშებაში გაიმართა 6234 მატჩი, გატანილია 19.254 გოლი, სუბილოდ 3,08 გოლი თითო მატჩში. ● ჩემპიონთა თასი გათამაშდა 31-ჯერ. სხვადასხვა დროს ამ პრიზს ფლობდა 8 ქვეყნის 15 კლუბი. ● თასების მფლობელთა თასი გათამაშდა 26-ჯერ, პრიზს ფლობდა 10 ქვეყნის 22 კლუბი. ● უეფა-ს თასი გათამაშდა 28-ჯერ. პრიზს ფლობდა 9 ქვეყნის 20 კლუბი. ● აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა თას უეფა-ს თასებისგან განსხვავებით თასების მფლობელთა თასის მოგება ზედხედ ორჯერ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. ● „ბარსელონა“ ერთადერთი გუნდია, რომელიც უცვლელად მონაწილეობს ევროპის საკლუბო ტურნირებში 1955 წლიდან. ● ტურინის „იუვენტუსი“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც მოიგო სამივე საკლუბო ტურნირი. ● 1961-62 წლების ევროპის საკლუბო ტურნირების გათამაშების ფინალში ესპანეთის 4 გუნდი გავიდა. ეს შედეგი ჯერჯერობით მიუღწეველია. 5. პარანია. ● ევროპის სამივე საკლუბო ტურნირში ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს ვფრ-ის კლუბებმა — 942. პირველ სამეულში შედიან, აგრეთვე, ინგლისი — 926 მატჩი და ესპანეთი — 867. ● ყველაზე მეტი მატჩი მოიგეს ინგლისის კლუბებმა — 499. შემდეგ მოდიან ვფრ — 495 და ესპანეთი — 441. ● გატანილი გოლების მიხედვით ქვეყნებს შორის ასეთი მდგომარეობაა: 1. ვფრ — 1910 გოლი; 2. ინგლისი — 1780; 3. ესპანეთი — 1608; გატანილი და მიღებული გოლების ყველაზე უკეთესი სხვაობა აქვთ ინგლისის კლუბებს — 853 გოლი. მომდევნო ადგილები უკავიათ: ვფრ-ს — 721 გოლი და ესპანეთს — 653. ● ევროპულ ტურნირებში ყველაზე ხშირად გამოდიოდნენ: 1-2. „რეალი“ (მადრიდი), „ბარსელონა“ (ორივი — ესპანეთი) — 30-30-ჯერ; 3-4. „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია), „ცრევა ზეზუდა“ (ბელგარდი, იუგოსლავია) — 27-27-ჯერ; 5-8. „ანდერლექტი“ (ბრიუსელი, ბელგია), „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია), „რაბილი“ (ვფრ, ავსტრია), „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — 26-26-ჯერ; 9-10. ცსკა (სოფია, ბულგარეთი), „გლაზგო რივერსი“ (შოტლანდია) — 25-25-ჯერ. ● ჩვენი ქვეყნიდან ევროპულ ტურნირებში მონაწილეობა მიიღო 15-მა კლუბმა. სულ კი ევროპის 33 ქვეყნიდან 505-მა კლუბმა წლებადელ ტურნირში მონაწილეობას მიიღეს 6 დებიუტანტი.

რაჰვა შენგელია.

უღანაპარგოდ

„შეგარდენი“ (თბილისი) — „მლექტროში“ (ტირასპოლი) 18 სექტემბერი. 6:4 (0:0), 14 სექტემბერი. 13:9 (8:8). ასეთი ანგარიშით დამთავრებული შეხვედრები იმაზე მიგვიჩვენებს, რომ მატჩები უშედეგოდ ჩატარდა. პირველი შეხვედრის დასაწყისში გუნდები დიდხანს ზეგარდენდნენ ერთმანეთს და ვალკანის არ არის, რომ პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ტაიმში ტირასპოლის თავდასხმა ისე ამოქმედდა, რომ „შეგარდენი“ თამაშის სიტუაცია შეიცვალა იმისათვის, რომ მეტოქეს გამკლავებოდა. 51-ე წუთზე დაცვაში თამაშისას თბილისელები შეცდნენ და ვალკის სვლა ტელეკოვმა ბურთი თბილისელთა ჩათვლის მოედანზე დაამოწა 0:4.

წუთზე მიხელო გარუჩავამ კვლავ ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გაათანაბრა — 6:6. მანვე 10 წუთის შემდეგ საუცხოოდ ითამაშა — მოედნის ცენტრიდან გაიტანა ბურთი „მლექტროში“ კარში — 9:6. შეხვედრის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე კი მასპინძელთა შეტევების მოთამაშეების კოლექტიური შეტევა ბიძინა გვიგინძე ტირასპოლელთა ჩათვლის მოედნის ადგილზე დაასრულა — 13:6. შეხვედრის მიწურულს ევგენი ასტახოვმა ერთი ჯარიმის გატანა შეძლო. 13:9 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

გაბრიელ ბარჯაძე.



გია ახლამიძის ფოტო.

„შეგარდენის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ წარუმატებლობის შემდეგ უფრო გააქტიურდა თამაში: ჯერ ვანო საცერაძემ გაიტანა საჯარიმო, შემდეგ ვია კურატიშვილმა და „შეგარდენი“ დაწინაურდა 4:4. სტუმრები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ მასპინძლებმა, რომლებიც კარგად იცავდნენ თავს, შეინარჩუნეს ეს ანგარიში. ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით მეორე დღეს გამართული მატჩი გაბოღდა უკეთესი. მეექვსე წუთზე კურატიშვილმა ვერ გამოიყენა საჯარიმო დარტყმა. თბილისელებმა შემდეგ სტუმრებმა კონტრშეტევა წამოიწყეს: თითქმის მთელს ფლანგზე გაშალეს მარაო, შემდეგ მოულოდნელად მოედნის სიღრმისაკენ გაიჭრნენ და მიხეილ პისკუნოვმა დამიწებით დაასრულა ჯვარედინი შტურმი. სერგეი შლიშჩინმა ასლო მანძილიდან ადვილად გაიტანა რეალიზაცია 0:6. მატჩის ამ მონაკვეთში მოღვაწეულთა შეტევისა და დაცვის ხაზის მოთამაშეები შეთანხმებულად ათამაშებდნენ მოლიდან გამორტანულ ბურთს, გრძელი პასებით რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ, ასე რომ, პირველ ყოვლისა საპირი იყო ამ მექანიზმის მოშლა, რასაც თბილისელებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს მიაღწიეს. შეტევების მოთამაშეთა მოკლე გადაცემების შემდეგ ტირასპოლელთა შეტევა დაუშვეს, მიხეილ გარუჩავამ მოედნის ცენტრალური ხაზიდან გაიტანა ჯარიმა და ანგარიში სხვაობა შეამცირა — 3:6. პირველ ტაიმში ეს ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე ტაიმში მეტოქის კოლექტიურ შეტევებს მასპინძლებმა პრესინგი დაუპირისპირეს. 56-ე

არ დაზოგავდნენ, მაგრამ სტუმრებს აშკარად არ ეყოთ ოსტატობა, ჩვენებს გამკლავებოდნენ — „სპარტაკი“ „ლოკომოტივის“ ძალასა და სისწრაფეშიც კი საგრძნობლად ჩამორჩებოდა. რაკილა ეს უკანასკნელი იმედით ხელიდან გამოეცალათ, სტუმრები თითქმის უბრძოლველად დანებდნენ მეტოქეს: მხოლოდ კვირას გამართულ მატჩში გამოიღეს ხელი მაშინ, როცა 0:21 აგებდნენ. „სპარტაკის“ ფონზე „ლოკომოტივი“ ამჯერად საკმაოდ მიმობრუნებულად წარმოჩნდა, განსაკუთრებით შაბათს გამართულ შეხვედრაში. გუნდმა ისევ შემტევი, კომბინაციური სტილი ირჩია და ბევრი დასამახსოვრებელი მომენტიც შექმნა. აშკარაა, რომ „ლოკომოტივი“ თანდათან იბრუნებს მისთვის ჩვეულ ხელწერას; მოთამაშეებს აღარ ბოკაუთ შეცდომის დაშვების შიში და ლალად უტევს საკუთარი ნახევრიდანაც კი. განსაკუთრებით იყოჩაღა მესამე ხაზმა (გიუნაშვილი, მონიავა, ვალიშვილი), მათთან ერთად შეტევების ნახევარმცველებმა — მალხაზ ჰეიშვილმა და ნუკრი წიკლაურმა, თუმცა ერთ რამეში მაინც სცოდავდნენ ჩვენები: როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო მათი სურვილი შეფერხების შემთხვევაში შეტევას გაგრძელებოდა, რომ ბურთის არცთუ იშვიათად უმისამართოდ მოისროდნენ ხოლმე, ნაცვლად იმისა, რომ დაყოვნებულიყვნენ ან კლასიკური ხერხით — ორი ხელით გადაეცათ ოფი თანავუნდელისათვის. „სპარტაკთან“ მატჩებში „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდნენ: გურული, მეტრეველი, შერაზდიშვილი, მარჯანიშვილი, ნ. ხვედელიძე, ძაგანელი, მანთიძე, ლუღუშაური, კეიშვილი; შუბითიძე, კაკაბაძე, ბაკურაძე, ნ. წიკლაური, გიორგოზიანი, კეილაძე, კაშია, ნ. ხარაბაძე, გიორგაძე, ჩიქვინიძე, გილაშვილი, მონიავა, ვალიშვილი. „ლოკომოტივი“ ქულები ასე მოიპოვა: შაბათს: 4 დამიწება (ხვედელიძე, მეტრეველი, შერაზდიშვილი, კეიშვილი), 2 რეალიზაცია (ვალიშვილი, წიკლაური), 3 საჯარიმო (2 — ვალიშვილი, წიკლაური); კვირას: 2 დამიწება (მეტრეველი, წიკლაური), 2 რეალიზაცია (ვალიშვილი), 2 საჯარიმო (ვალიშვილი), 1 არეკნით (ლუღუშაური). ზაალ ჰეიშვილი. სადღესობა „პრიმორეს“ 27 ქულა მოუგროვდა (17 თამაში), „მლექტროში“ — 20 (15), „შეგარდენს“ — 19 (17), „სოკოლს“ და „ლოკომოტივს“ — 18-18 (15). მორიგ ტურში 20-21 სექტემბერს თბილისის გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან.

